

კოლოფონი, როგორც ოთხთავის პარატექსტი
და მისი რედაქციები ძველი ქართული
ხელნაწერების მიხედვით

A COLOPHON AS A PARATEXT OF THE FOUR GOSPELS
AND ITS EDITIONS IN ACCORDANCE TO THE OLD
GEORGIAN MANUSCRIPTS

დარეჯან თვალთვაძე

Darejan Tvaltvadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: სახარება-ოთხთავი, პარატექსტი,
კოლოფონი, ძველი ქართული ხელნაწერები

Keywords: Four Gospels, Paratext, Colophon, Old Georgian
Manuscripts

ხელით დაწერილ წიგნს, ისევე როგორს ნაბეჭდს, ძირითად ტექსტთან ერთად (ავტორის ტექსტი) შეიძლება ჰქონდეს პარატექსტების საკმაოდ მყარად ჩამოყალიბებული სისტემა (ერთვოდეს პერიტექსტები და ეპიტექსტები), რომლის ელემენტები შეიძლება განსხვავებული იყოს ეპოქის, კულტურებისა და ჟანრების მიხედვით და იცვლებოდეს რედაქციიდან რედაქციამდე. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ბიბლიური ტექსტების შემცველი ხელნაწერები, რომელთა გავრცელების (მათ შორის, სხვა ენებზე თარგმნის) პროცესში მისი ტექსტის წაკითხვისა და აღქმის გაიოლების მიზნით თანდათან ჩნდება და ყალიბდება თანმხლები ტექსტების მთელი სისტემა, რომელიც მეტ-ნაკლებად ცვალებადია დროსა (ტექსტური ტიპები, რეცენზიები/რედაქციები) და სივრცეში (ვერსიები/სხვაენოვანი თარგმანები). კოდიკოლოგიაში პარატექსტი გულისხმობს ძირითადი ტექსტის თანმხლებ ყველანაირ ტექსტს, მათ შორის, ოთხთავის ხელნაწერებში თითოეული სახარების ბოლოს მიწერილ დასასრულის მიმანიშნებელ მოკლე უწყებას (Subscriptions), ინფორმაციას სახარების ავტორის, ზოგჯერ ტექსტის სტრუქტურისა და დანიშნულების შესახებ. ეს პარიტექსტები, რომლებიც ფუნქციურად კოლოფონებს წარმოადგენენ, ნელ-ნელა ივსება ახალი ინფორმაციით. თუ მათში თავიდან მხოლოდ სახარების ავტორის და დაწერის თარიღის შესახებ ცნობები გვაქვს, შემდეგ ემატება დაწერასთან დაკავშირებული დეტალებიც (რომელ ენაზე, ვისი ინიციატივით დაიწერა), ასევე, ერთგვარი სტატისტიკური მონაცემები (რამდენი მუხლი და სტრიქონია თითოეულ სახარებაში) და მითითება მათი ლიტურგიკული დანიშნულების შესახებ. სახარება-ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის შემცველ ხელნაწერებში ამ ცვლილების ყველა ეტაპია ასახული.

მოხსენებაში ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის სხვადასხვა რედაქციის შემცველი ხელნაწერების შესწავლის საფუძველზე განვიხილავთ პარატექსტის ამ კონკრეტულ სახეობას და შევეცდებით ვაჩვენოთ, რა ვითარება გვაქვს ამ მხრივ ძველ ქართულ ხელნაწერებში; განსხვავდებიან თუ არა სახარების რედაქციულად განსხვავებული ტექსტისშემცველი ხელნაწერები (წინაათონური და პოსტათონური პერიოდის) კოლოფონების მიხედვითაც და უკავშირდება თუ არა ტექსტის რედაქტირების (ძირითადად, მისი

„ბერძულისადა მიყვანების“) პროცესი ოთხთავის, როგორც კრებულის სტრუქტურის ცვლილებასაც და მის გამართვას „ბერძულსა წესსა ზედა“.

ლიტერატურა:

ბიბლიის პარატექსტები – Paratexts of the Bible (ParaTexBib). Ludwig-Maximilians-Universität München. <http://paratextbib.eu/>

გათერკოლი ს. ჯ. – Simon J. Gathercole (2013) The Titles of the Gospels in the Earliest New Testament Manuscripts. Zeitschrift für die Neutestamentliche Wissenschaft und Kunde der Älteren Kirche. 104(1) <https://doi.org/10.1515/znw-2013-0002>

თვალთვაძე, დ. (2015) ოთხთავის ათონური რედაქციის უძველეს ხელნაწერებზე დართული კოლოფონები და ათონური რედაქციის ჩამოყალიბების საკითხი, „სპეკალი“, 9. <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/magazinHeadlines/9>

ჟენეთი, ჟ. – Genette, Gérard (1997) Paratexts: Thresholds of Interpretation. Cambridge. Cambridge University Press, <https://doi.org/10.1017/CBO9780511549373>

Similarly to a printed book, a handwritten book, along with the main text (an author's text) may include a quite well-formed system of paratexts (peritexts and epitexts). Its elements may vary by epoch, culture or genre and may change from an edition to an edition. The manuscripts containing the biblical texts are outstanding in this respect. In the process of their spread (including translation into other languages), a whole system of accompanying texts gradually emerges to facilitate reading and comprehension of texts. The system is more or less changeable over time (types of texts, reviews/redactions) and space (versions/translations into other languages). In codicology, a paratext refers to all the texts that accompany the main text, including the subscriptions that are presented at the end of each Gospel of the Four Gospels, the information about an author of the Gospel, the structure and the purpose of a text. These peritexts, which are functionally colophons, are gradually filled with new information. If in the

beginning there is only the information about an author of the Gospel and a date of writing, afterwards, details about the writing (in which language and at whose initiative it was written), some statistical data (how many sections and lines are in each Gospel) and an indication of a liturgical purpose are added. The manuscripts of the Old Georgian translation of the Four Gospels reflect all the stages of the above-mentioned change.

The paper studies the manuscripts containing different redactions of the Old Georgian translations of the Four Gospels, discuss the above-mentioned type of a paratext and makes an attempt to show the existing situation via discussing the following questions: Do the different redactional manuscripts, that contain different texts of the Gospel, from the point of redaction, differ in accordance to the colophons of pre-Athonite and post-Athonite periods? Is the process of editing of the text (mainly “making like Greek”) related to the change of the structure of the collection and similarisation to “the Greek rule”?

References:

- Genette, Gérard** (1997). *Paratexts: Thresholds of Interpretation*. Cambridge. Cambridge University Press, <https://doi.org/10.1017/CBO9780511549373>
- Simon J. Gathercole** (2013). The Titles of the Gospels in the Earliest New Testament Manuscripts. *Zeitschrift für die Neutestamentliche Wissenschaft und Kunde der Älteren Kirche*. 104(1) DOI: 10.1515/znw-2013-0002 DOI 10.1515/znw-2013-0002)
- Paratexts of the Bible (ParaTexBib). Ludwig-Maximilians-Universität München. <http://paratexbib.eu/>
- Tvaltvadze, D.** (2015). The Colophons accompanying the Aton Edition of the Gospel Manuscript and the Issue of the Establishment of the Aton Edition. “SPEKALI”, 9. <http://www.spekali.tsu.ge/index.php/en/article/m>